პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ
И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР
И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1984 წ.
№ 217 (7778) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ლელო, ლახტი, ცხენბურთი...

საქართველოში ყველა პირობა იქმნება საიმისოდ, რომ რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები ფიზიკურად ჯანსაღი იყოს. ორ მილიონზე მეტ ფიზკულტურელს ემსახურება 81 სტადიონი, 74 საცურაო აუზი, 1477 სპორტული დარბაზი, 8878 სხვადასხვა ტიპის მოედანი.

რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობას ახალი იმპულსი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სექტემბრის (1981 წ.) დადგენილებამ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“. ამ დადგენილების რეალიზაციაზე, მის პრაქტიკულ ხორცშესხმაზე ესაუბრება „იზვესტიის“ კორესპონდენტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე.

● კონკრეტულად რა გაკეთდა სპორტში მოსახლეობის ფართო ფენების ჩაბმისათვის?

— პირველ ყოვლისა, გაიშალა ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ რადიო, ტელევიზია, პრესა. უფრო ხშირად ტარდება სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები, სადაც ყოფილი მაყურებლები აქტიურ მონაწილეებად იქცნენ. რესპუბლიკაში დიდად პოპულარულია ცურვის, რბენის, ჭიდაობის კვირეულები. მასობრივი ფიზიკური კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვთ თბილისის, ფოთის, ქუთაისის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. კერძოდ, თბილისის პარტიული ორგანიზაცია გახლავთ თაოსანი ქალაქის ირგვლივ (ლისისა და კუს ტბებზე) ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ზონის შექმნისა. რესპუბლიკის დედაქალაქში გაკეთდა პირველი ორკილომეტრიანი ველობილიკი.

ფოთში დიდი მუშაობა ტარდება კულტურულ-სპორტული კომპლექსების შესაქმნელად. აქ დაამუშავეს ქალაქში მასობრივი სპორტის განვითარების საინტერესო კომპლექსური პროგრამა. კულტურულ-სპორტული კომპლექსების შესაქმნელად მუშაობა დაიწყო მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის რაიონებში.

● რა ადგილი ეთმობათ ამ მუშაობაში ფიზკულტურის კოლექტივებს?

— სპორტი, შეიძლება ითქვას, ეკონომიკურ კატეგორიად იქცა. დღეს უკვე ნათელია მისი პირდაპირი კავშირი შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და პროფესიულ დაავადებათა შემთხვევების შემცირებასთან. მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში (დირექტორი პ. თორდია) შესანიშნავმა სპორტულმა ბაზამ და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის საინტერესო ფორმებმა შესაძლებელი გახადა კადრების დენადობის საგრძნობი შემცირება. ეს დამახასიათებელი ფაქტია, რადგან სპორტი ზრდის დისციპლინას, თავისი ქარხნის, თავისი შრომითი კოლექტივის გამო სიამაყის გრძნობას.

თბილისის სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში (დირექტორი ო. ბოჭოიძე) მარტო ბოლო ორ წელიწადში სახალხო მშენებლობის, შაბათობებისა და კვირაობების მეთოდით ააგეს ოცდახუთმეტრიანი დახურული საცურაო აუზი, ჭადრაკის სახლი, მწყობრში ჩააყენეს ჭიდაობის დარბაზი, კომპლექსური სპორტული მოედანი. აქვე გაიხსნა სპორტული სკოლა, მუშაობს ჯანმრთელობის ჯგუფები.

კომპლექსურად წყდება მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში მასობრივი სპორტის განვითარების საკითხებიც. რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად განზრახული გვაქვს შევქმნათ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატები. რესპუბლიკის ყველა საბინაო-საექსპლოატაციო კანტორასთან გამოიყო ფიზიკური კულტურის მეთოდისტის შტატი. დღეს მარტო თბილისში ბავშვებისათვის 79 კლუბი მუშაობს. ყველა ეს კლუბი რომელიმე ცნობილი სპორტსმენის სახელობისაა და ყმაწვილებიც დიდი სიხარულით მეცადინეობენ.

ბევრი რამ კეთდება სოფლისთვისაც. შენდება ახალი სპორტული კომპლექსები, სპორტული კლუბები იქმნება არა მარტო რაიონებში, არამედ ცალკეულ მეურნეობებშიც კი. ზუგდიდის რაიონში მოწინავე მეურნეობას — კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობას — უკვე დიდი ხანია სათავეში უდგას სოციალისტური შრომის გმირი ჯოტო გუგუჩია. იგი არა მარტო კარგი მეურნეა, არამედ სპორტის აქტიური პროპაგანდისტიც. ბოლო ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში აშენდა სტადიონი საფეხბურთო მინდვრით, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებით. კოლმეურნეთა სიამაყეა ახალი იპოდრომი, რომელიც, ისევე როგორც სტადიონი, კოლმეურნეობის სახსრებით ააგეს.

დღეს სასოფლო საბჭოების აღმასკომები მუშაობენ ამ დევიზით: „არც ერთი სოფელი — უმარტივესი სპორტული მოედნებისა და დარბაზების გარეშე!“ ეს მოწოდება არსად არ რჩება ლიტონ სიტყვებად.

● ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა და სპორტის სიყვარული რესპუბლიკაში ალბათ ტრადიციებს ეფუძნება.

— უდავოდ. შორეულ წარსულში იღებს სათავეს სპორტის ეროვნული სახეობები: ლელო — თამაში, რომელიც რეგბის მოგვაგონებს, ლახტი, ისინდი, ყაბახი და ცხენბურთი, რაღა თქმა უნდა, ჩვენი განთქმული ქართული ჭიდაობა. ამ თამაშებიდან და სახეობებიდან ბევრში რესპუბლიკური შეჯიბრებები ტარდება.

სხვათა შორის, ეროვნული ფესვები ასაზრდოებს ჩვენი მოჭადრაკე ქალების წარმატებებსაც. წინათ ხომ ჩვენში ქალიშვილს მზითვად ჭადრაკსაც ატანდნენ...

„იზვესტიის პრიზის“ ლაურეატები

ქალაქებსა და რაიონებს შორის: **ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, კასპის რაიონი, თელავის რაიონი, დუშეთის რაიონი.**

ფიზკულტურულ-სპორტულ და სპორტულ-ტექნიკურ კლუბებს შორის: „უმბა“ (თბილისი), „მევარდენი“ (თბილისი), „ფოლადი“ (რუსთავი).

მუშა და სტუდენტი ახალგაზრდობის საერთო საცხოვრებლებს შორის: **დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საერთო საცხოვრებელი (თბილისი), საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი.**

შეჯიბრებაში — „მთელი ოჯახით — სტარტზე!“ — გამარჯვებულნი: **თბილისი, თელავის რაიონი, დაბა საბერიო.**

დათვალიერება-კონკურსში — „მთელი ბრიგადით — სტადიონზე!“ — საწარმოო ბრიგადებსა და სასოფლო-სამეურნეო რგოლებს შორის გამარჯვებულნი: ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი ქარხნის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადა (ბრიგადირი **ნ. ვაშარია**), ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ამწყობთა ბრიგადა (ბრიგადირი **გ. კუხიანიძე**), თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ სამღებრო-გამომყვანი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა (ბრიგადირი **ტ. ტურაშვილი**), ხელვაჩაურის რაიონის გონიოს კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო რგოლი (ბრიგადირი **შ. დავითაია**).

„იზვესტია“ № 318 (21029)

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში კარპოვ — კასპაროვის მატჩის ოცდამესამე პარტია, რომელიც 12 ნოემბერს გაიმართა, ყაიმით დამთავრდა. მატჩში კვლავ წინაა მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი — 4:0 (+4—0=19).

დღეს, 14 ნოემბერს დიდოსტატები ოცდამეოთხედ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს. თეთრებით კასპაროვი ითამაშებს.

გაგაცნობთ ოცდამესამე პარტიის მსვლელობას.

ოცდამესამე პარტია

კარპოვ — კასპაროვი

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 e6 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კh4 0—0 7. ეd dc 8. e3 c5 9. კ:c4 cd 10. მ:d4 კd7 11. 0—0 მc6 12. მb3 ეc8 13. კe2 მd5 14. კ:e7 მc:e7 15. მ:d5 მ:d5 16. ე:c8 ლ:c8 17. ლd4 ლb8 18. კf3 მf6 19. მc5 კb5 20. ეd1 b6 21. მe4 მ:e4 22. კ:e4 ეc8. ყაიმი.

მეტოქეებმა მეხუთედ მიმართეს ლაზიერის გამბიტს. თეთრების მე-7 სვლამდე მათ მეთორმეტე და მეჩვიდმეტე პარტიების „უვერტიურა“ გაიმეორეს. ამჯერად კარპოვმა ახალი გაგრძელება აირჩია, მაგრამ არც კასპაროვი დარჩენია ვალში. მან ფსიქოლოგიურ მანევრს მიმართა: ისე ითამაშა როგორც თვით კარპოვმა მერანოს 1981 წლის მსოფლიო პირველობაზე გამართული მატჩის ორ პარტიაში. მე-12 სვლაზე მსოფლიო, ჩემპიონმა თავი აარიდა ფიგურების შემდგომ გაცვლას და პოზიციას სიმძაფრე შეუნარჩუნა. ამ კრიტიკულ მომენტში კასპაროვმა 23 წუთი იფიქრა და მაინც მიაგნო თამაშის გამარტივებისა და ყაიმისკენ მიმავალ გზას.

ინფორმაცია

ველოსპორტი

„მშვიდობის ველორბოლა“, რომელიც სამი მოძმე სოციალისტური ქვეყნის — გდრ-ის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის გზებზე ტარდება, ამავე ქვეყნების გაზეთების „ნოიეს დოიჩლანდის“, „ტრიბუნა ლიუდუსა“ და „რუდე პრავოს“ ინიციატივით დაარსდა. გაისად, გაზაფხულზე, ევროპის უძლიერესი მოყვარული ველოსიპედისტები ოცდამერვედ აიღებენ ამ პოპულარული რბოლის სტარტს. წინა შეჯიბრებისგან განსხვავებით ამჯერად ველოსიპედისტები მოსკოვშიც იასპარეზებენ.

8 მაისს პრაღაში შედგება რბოლის პროლოგი. იმავე დღეს შეჯიბრების მონაწილეები, მსაჯები, მომსახურე პერსონალი და აკრედიტებული ჟურნალისტები მოსკოვში ჩამოფრინდებიან. 9 მაისს, გამარჯვების დღეს, ოქტომბრის 50 წლისთავის მოედანზე მოეწყობა რბოლის დაწყების საზეიმო ცერემონიალი, ტექნიკური სტარტი დანიშნულია მაიაკოვსკის მოედანზე. სპორტსმენები 13-კილომეტრიან რკალურ ტრასას 9-ჯერ გაივლიან.

10 აპრილს კრილატსკოეს რაიონში შედგება ჯგუფური რბოლა, ხოლო 11 აპრილს მოსკოვის ქუჩებში გუნდური რბოლა გაიმართება. საღამოს მშვიდობის ველორბოლის მონაწილენი პრაღაში გაფრინდებიან.

რეგბი

ავსტრალიის რეგბისტთა ნაკრებმა თავისი ევროპული ტურნეს მორიგი მატჩი გამართა — ამჯერად დუბლინის „ლენსდაუნ როუდის“ სტადიონზე მასპინძელი ქვეყნის, ირლანდიის ეროვნულ გუნდს შეხვდა. სტუმრებმა კვლავ ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 16:9.

ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებმა საფრანგეთის რეგბისტებს უმასპინძლა. წარმატება აქაც სტუმრებს ხვდათ — 18:3.

ჩოგბურთი

სენ-დენიში (საფრანგეთი) მოეწყო შეხვედრა უიმბლდონის ხუთგზის გამარჯვებულ ბიორნ ბორგსა (შვეცია) და ცნობილ იტალიელ ჩოგბურთელ ადრიანო პანატას შორის. ბორგმა, რომელიც თანდათან იბრუნებს ჩვეულ სპორტულ ფორმას, იოლად მოიგო ეს მატჩი — 6:2, 6:2.

დამთავრდება რომელიმე დიდი კომპლექსური შეჯიბრება, შეაფასებენ რამდენიმე სახეობაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას არადამაკმაყოფილებლად და მოჰყვებიან სპეციალისტები და მწვრთნელები მკერდზე მჯიღის ცემას, მტკიცებას იმისა, რომ მომავალში მარცხის თავიდან ასაცილებლად მზადება ახლავე უნდა დაიწყონ, თორემ შემდეგ გვიან იქნება და ა. შ. სამწუხაროდ, ზამთრის სუსხი ამ ენთუზიაზმს მალე უქრობთ და მომდევნო შეჯიბრებისთვის მზადებას ჩვეულებისამებრ ერთი წლით ადრე იწყებენ...

ადრე ამდგარსა კურდღელსა...

ნოემბრის დასაწყისში სოხუმში დამთავრდა მძლეოსანთა რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც სწორედ იმ ასაკის ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობდნენ (1969-71 წწ. დაბ.), რომელთაც მოსწავლეთა მომდევნო, XVIII სპარტაკიადაზე მოუწევთ გამოსვლა. შეჯიბრების შედეგები უფლებას გვაძლევს თამამად მოვხაზოთ იმ გუნდის კონტური, რომელიც სამი წლის შემდეგ ზემოხსენებულ შეჯიბრებაზე საქართველოს სახელს დაიცავს.

აფხაზეთის დედაქალაქში გამართულმა ასპარეზობამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ჩვენი მძლეოსნების ქრონიკული წარუმატებლობისა, გვყოლია 14-15 წლის სპორტსმენთა არც ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ საკმაოდ იმედისმომცემი რეზერვი, და თუ ამ რეზერვთან სამი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად და ნაყოფიერად ვიმუშავებთ, მომავალ სპარტაკიადაზე მთებს თუ ვერ შევუცვლით ადგილს, ერთი ადგილის ტკეპნას მაინც აღარ დავიწყებთ. ლიტონ განცხადებად ნუ მიიღებთ: საქმეში ჩახედულ ხალხს შეჯიბრების ტექნიკური შედეგებიც დაარწმუნებს ამ აზრის მართებულობაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ახლა შემოდგომის მიწურულია, მძლეოსნებს თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა გაუჭირდათ, თანაც, რამდენიმე ძლიერი თბილისელი მძლეოსანი სხვადასხვა მიზეზის გამო სოხუმში ვერ გაემგზავრა.

განსაკუთრებით მოულოდნელად დამთავრდა ჭაბუკთა ასპარეზობა 800-მეტრიან დისტანციაზე. თბილისელმა ოლეგ ხოხლოვმა და აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. კარპიშევმა შესაბამისად 2.02,0 და 2.04,6 აჩვენეს. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები თანატოლებს ყველაზე მეტად სწორედ საშუალო მანძილებზე რბენაში ჩამორჩებიან, 14 წლის მორბენლების სოხუმში ნაჩვენები დრო კი შესანიშნავ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს ისეთ „მძლეოსნურ" რესპუბლიკებში, როგორიც რსფსრ და უკრაინაა.

კარგად გამოვიდნენ სპრინტერებიც, ქუთაისელმა ხათუნა დიდიძემ 100-მეტრიანი დისტანციის დაფარვას 12,5 მოანდომა. ზუგდიდელმა გოგონებმა ლალი გაჩავამ და ნონა ესართიამ, რომლებიც მხოლოდ 14 წლისანი არიან, 200 მეტრზე რბენაში ტოლი არ დაუდეს ერთმანეთს. 0,1 წამის უპირატესობით ლალიმ იმარჯვა (27,3). ნონამ კი 400-მეტრიან დისტანციაზეც კარგი შედეგი (1.03,6) აჩვენა — მხოლოდ ერთი წამით ჩამორჩა შეჯიბრების მასპინძელს, 15 წლის მარინა ტყებუჩავას.

ყველაზე დიდ წარმატებას გარდაბნელმა, ასევე 14 წლის სპორტსმენმა მანანა ლობჟანიძემ მიაღწია. მან 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში 25.51,0 აჩვენა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. თავი გამოიჩინეს მანანას თანატოლებმა და თანაგუნდელებმა. სპრინტერმა მალხაზ ლაშხიძემ (100 მეტრზე წინასწარ გარბენში 11,2 აჩვენა) და უროს მტყორცნელმა სოსო შავერდაშვილმა (56,82 მ).

ვიმეორებთ, 14-15 წლის სპორტსმენთა შედეგებით კმაყოფილნი უნდა იყვნენ ჩვენი მოსწავლე-მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელები. მართალია, ამით მძლეოსნობაში რეზერვის საქმე საბოლოოდ მოგვარებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, აკი ვთქვით, რომ სოხუმში მაინცდამაინც ბევრს არ გამოუჩენია თავი, თანაც ზოგიერთ სახეობაში კვლავ დაბალი შედეგები აღინიშნა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საერთო სურათი იმედისმომცემი იყო და ახლა ამ საიმედო მძლეოსანთა დაოსტატებაზე გვმართებს ფიქრი და ზრუნვა.



საფიქრალი კი მართლაც ბევრი გვაქვს. ამჟამად თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ნორჩ სპორტსმენთა მომზადების ცენტრალიზებულ სისტემას იყენებს. ამაში უზბეკეთში გამართულ მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილეთა სიებიც ადვილად დაგვარწმუნებს. სხვა რესპუბლიკების სპორტსმენთა დიდი უმრავლესობა სპორტული სკოლა-ინტერნატების აღზრდილები არიან, ჩვენთან კი ნორჩ სპორტსმენთა ერთ ადგილზე თავმოყრა ამჟამად არ ხერხდება და აი, რატომ: ჯერ ერთი, გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა კონტიგენტი საკმაოდ შეზღუდულია, მეორეც — ბევრ მშობელს არ სურს ბავშვი იქ გაგზავნოს. არადა რაიონებში სულ უფრო და უფრო ჭირს ნორჩ სპორტსმენთა კარგად მომზადება. თვით ისეთ ქალაქებში, როგორიც ქუთაისი და ბათუმია, მძლეოსნებს ერთი ხეირიანი სტადიონიც კი არა აქვთ. დაუმატეთ ამას კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობაც. ასე რომ, სჯობს ჯერ ის გადავწყვიტოთ, თუ სად, როგორ და ვისთან ივარჯიშონ ნორჩმა მძლეოსნებმა და საქმეს ისე შევუდგეთ. ერთ სამწუხარო ფაქტზეც მოგახსენებთ. სოხუმში არ ჩამოსულან არც აჭარის და არც რუსთავის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აჭარელთა უპასუხისმგებლობამ გაგვაოცა. სხვათა შორის, ტაშკენტში, მოსწავლეთა XVII სპარტაკიადაზე, საქართველოს მძლეოსანთა ნაკრების ღირსება არც ერთ აჭარელ სპორტსმენს არ დაუცავს. ახლა მაინც ეზრუნათ „რეაბილიტაციისთვის". სამწუხაროდ, ჩვენი ნაკრების მწვრთნელთა ყურადღების მიღმა დარჩა ის, რამდენიმე აჭარელი მძლეოსანი, რომელთაც საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში მოხვედრა შეეძლოთ.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ტექნიკური შედეგები:

ჭაბუკები. რბენა. 100 მ. ზ. ფიჩხაძე (თბილისი) — 11,4; **200 მ.** ს. ერემიანი (აფხაზეთი) — 23,6; **400 მ.** ს. ნიკიტინი — 52,6; **800 მ.** ო. ხოხლოვი (ორივე — თბილისი) — 2.02,0; **1500 მ.** ა. აგანიანი (ახალციხე) — 4.23,6; **3000 მ.** ვ. პოპკოვი (აფხაზეთი) — 9.52,6. **4 X 100 მ.** აფხაზეთი — 46,1.

5 კმ სპორტული სიარული. ნ. თევდორაძე (წყალტუბო)—33.06,0.

თარჯრბენი. 110 მ. ლ. ფრანგულაშვილი (მახარაძე) — 20,5; **400 მ.** ა. უნდერენკო (თბილისი) — 1.02,0. **1500 მ. წინაღობებით.** ჯ. ზილბერშტეინი (ახალციხე) — 5.03,4.

ხტომა. სიგრძე. კ. ბენიძე (აფხაზეთი) — 6,32 მ; **სიმაღლე.** ე. კოტოვი (თბილისი) — 185 სმ; **სამხტომი.** ვ. მახარაძე (ქუთაისი) — 13,60 მ.

ტყორცნა. ბადრო და ბირთვი. მ. ერქომაიშვილი (მახარაძე) — 44,62 და 14,50 მ. **შუბი.** გ. ჭინჭარაული (თბილისი) — 54,70 მ; **ურო.** ს. შავერდაშვილი (გარდაბანი) — 56,82 მ.

გოგონები. რბენა. 100 მ. ხ. დიდიძე (ქუთაისი) — 12,5; **200 მ.** ლ. გაჩავა (ზუგდიდი) — 27,3; **400 მ.** მ. ტყებუჩავა (აფხაზეთი) — 1.02,6; **800 მ.** და **1500 მ.** ს. საიანოვა (ახალციხე) — 2.25,1 და 5.01,8; **4 X 100 მ.** აფხაზეთი — 53,8.

თარჯრბენი. 100 მ. თ. გოგოლაძე (ქარელი) — 19,0; **400 მ.** მ. ტყებუჩავა (აფხაზეთი) — 1.10,4.

5 კმ. სპორტული სიარული. მ. ლობჟანიძე (გარდაბანი) — 25.51,0.

ხტომა. სიგრძე. ხ. დიდიძე (ქუთაისი) — 5,56 მ; **სიმაღლე.** ე. გაბაშვილი (თბილისი) — 155 სმ.

ბირთვი. მ. ბლიაძე (მახარაძე) — 11,80 მ; **ბადრო.** ხ. მეკოკიშვილი (თბილისი) — 33,64 მ.

გუნდური. I ჯგუფი. I. თბილისი— 382 ქულა; II. აფხაზეთი — 354; III. გარდაბანი — 250.

II ჯგუფი. I. ახალციხე — 120; II. ახმეტა — 94; III — ზუგდიდი 81.

III ჯგუფი. I. წულუკიძე — 54; II. ბორჯომი — 15; III. ვანი —13.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს კალათბურთში, მაგრამ ამ პირველ წარმატებას, რასაც თბილისის წითელი არმიის სახლის გუნდმა 1944 წლის საკავშირო ჩემპიონატში მიაღწია, დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ჩემპიონობა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა

გამარჯვება არც მანამდე ყოფილა უცხო ჩვენი კალათბურთისთვის. 1939 წელს, მაგალითად, თბილისის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ შოთა ახვლედიანი, რობერტ მდივანი, ლევ ძეკონსკი, ალექსანდრე ელინსკი, ბორის სარქისოვი, მიხეილ ფილიპოვი და თეიმურაზ ჩუბინიშვილი (მწვრთნელი — გიგა მეუნარგია), დამაჯერებლად მოიგო ქალაქების მატჩი — იმ პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკავშირო შეჯიბრება, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩემპიონატში მოპოვებულ წარმატებას სულ სხვა ეშხი აქვს.

მაშ ასე, 1944 წლის 2-8 აგვისტო. თბილისმა უმასპინძლა XI საკავშირო ჩემპიონატს. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საკავშირო კატეგორიის არბიტრი იგორ ბელიაევი. შეხვედრები ჩატარდა კიროვის სახელობის პარკის საკალათბურთო მოედნებზე.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ამ ტურნირში არმიელთა გარდა კიდევ ორი კოლექტივი იცავდა — თბილისისა და ქუთაისის „დინამო". 16 გუნდი ოთხ ჯგუფად იყო დაყოფილი. ჯგუფებში გამარჯვებულებს უნდა შეექმნათ ფინალისტთა კვარტეტი, რომელიც გაითამაშებდა საკავშირო ჩემპიონატის პირველ-ოთხ ადგილს. პირველ ჯგუფში წარმატება მოიპოვეს მოსკოვის დინამოელებმა, მეორეში — დედაქალაქის „ლოკომოტივმა" (თბილისის „დინამომ" მასთან შეხვედრა ფრედ — 22:22 დაამთავრა, მაგრამ ფინალში თამაშის უფლება ბურთების უკეთესი სხვაობით მოსკოველებმა მოიპოვეს), მესამეში — თბილისის არმიელებმა, მეოთხეში კი ქუთაისის „დინამომ".

თბილისის წითელი არმიის სახლის გუნდმა ფინალური ჯგუფის სამივე შეხვედრაც მოიგო: მოსკოვის „დინამოსთან" — 36:29, „ლოკომოტივთან" — 40:28, ქუთაისის „დინამოსთან" — 34:27 და გახდა სსრ კავშირის მეთერთმეტე ჩემპიონი.

ჩვენი დედაქალაქის არმიელთა კოლექტივი შეიქმნა 1940 წელს. 1944-1945 წწ. იგი წითელი არმიის სახლის სახელით, 1946 წელს ოფიცერთა სახლის, 1947 წლიდან კი ოფიცერთა საოლქო სახლის სახელით გამოდიოდა. ეს ფოტოსურათი სწორედ მაშინაა გადაღებული, როცა გუნდი თბილისის წითელი არმიის სახელით გამოდიოდა. 1944 წლის ჩემპიონის ღირსებას იცავდნენ: ლევ ძეკონსკი, ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ ფილიპოვი, ბორის სარქისოვი, სურენ ოგანეზოვი, მიხეილ ერმაკოვი და გიორგი ზახლიანი. ამ სურათზე კი აღბეჭდილია გუნდის არასრული შემადგენლობა (მარცხნიდან): ლევ ძეკონსკი, სურენ ოგანეზოვი, ბორის სარქისოვი, გიორგი გუპალოვი და ნოდარ ჯორჯიკია.



მკითხველი — გაზეთი

● გთხოვთ გვიპასუხოთ, როდის დაწესდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება, ვინ იყვნენ პირველი ლაურეატები და რომელ ქართველ სპორტსმენს მიენიჭა ეს წოდება პირველად?

ჯუმბერ კაკულია.

— საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება დაწესდა 1965 წლის 1 იანვარს. დებულების თანახმად ეს წოდება ენიჭება სპორტსმენს, რომელიც აჩვენებს საერთაშორისო კლასის შედეგს, დაიკავებს რომელიმე საპრიზო ადგილს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება პირველად მიენიჭათ საბჭოთა ჰოკეისტებს — 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულებს. ამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდების პირველი მატარებლები არიან, აგრეთვე, ე. გრიშინი, ვ. კაპლანი, ი. ეგოროვა (ციგურები), ნ. ნოვიკოვი (მაგიდის ჩოგბურთი), ვ. ბოლშოვი (მძლეოსნობა), გ. პროზუმენშჩიკოვა (ცურვა), ო. სტეპანოვი (სამბო), ა. პეტროვი, ა. დოხლიაკოვი (ველოსპორტი), ვ. ზემლიაკოვი, ა. სერედინა (საბაიდარო ნიჩბოსნობა), დ. პუშიკიანი, ვ. ვერიგინა (სასტენდო სროლა), ვ. ანისიმოვი (კლასიკური ჭიდაობა), ა. ივანიცკი (თავისუფალი ჭიდაობა), ვ. მატვეევი (ავიოსამოდელო სპორტი), ო. კაზაკოვი, ტ. ვოინოვა (საპარაშუტო სპორტი), ვ. კუვშინკინი (წყალში ხტომა), ლ. სტრელნიკოვა (ფრენბურთი), მ. მახონოვი, ა. პერევარუხოვა (აკადემიური ნიჩბოსნობა), ვ. მედვედევი, ა. პოდგურსკაია (ტანვარჯიში).

პირველ ლაურეატთა შორის მოხვდა ჩვენი თანამემამულეც, კალათბურთელი ზურაბ საკანდელიძე. ასე რომ, იგი ერთ-ერთი პირველი ქართველი სპორტსმენია, ვისაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაღალი წოდება მიენიჭა.

გულშემატკივრის კუთხე

გამარჯვება არ უნდა გვენატრებოდეს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „დინამოს" ფეხბურთელთა და კალათბურთელთა დღემდის საწვრთნელი ბაზები, კიროვის პარკის ჩოგბურთის კორტები და სულ ახლახან დამთავრებული კალათბურთის დარბაზი... სხვა რომ არაფერი აეშენებინა და არც სამომავლოდ ჰქონდეს დიდი ჩანაფიქრი, სახოფლო მშენებლობის სამინისტროს მერვე ტრესტის მმართველს ᲘᲕᲐᲜᲔ ᲥᲘᲤᲘᲐᲜᲡ მარტო აშენებულ-გარემონტებული ბაზები ეყოფოდა სპორტის თავგამოდებული ქომაგის სახელის მოსაპოვებლად. იქნებ ვინმემ თქვას, ეს მისი სამსახურებრივი მოვალეობა ყოფილა და შეუსრულებლობა არ შეიძლებოდაო. რაღა თქმა უნდა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მის მიერ ჩვენი სპორტისა და სპორტსმენების სასიკეთოდ გაკეთებულ ყველა საქმეს გულწრფელი და პატრიოტი კაცის ხელი ეტყობა.

● გულშემატკივრობა პროფესია არ არის და, რასაკვირველია, არც არავინ ცდილობს რაიმე განსაკუთრებული საქმით ეს სახელი მოიპოვოს. სპორტის გულშემატკივრობას უმეტესად ადამიანის ცხოვრების წესი აპირობებს და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც სამსახურებრივი მოვალეობა ნაკლებ კავშირშია თქვენს მიერ წამოწყებულ და კარგად დამთავრებულ საქმესთან...

— ჩემი თაობის ახალგაზრდობა ორმოცდაათიან წლებს დაემთხვა. ეს ის დრო იყო, როცა თითქმის ყველა თბილისელი ბიჭი სპორტით იყო დაკავებული. სპორტში ასეთი საყოველთაო მეცადინეობა მარტო იმით არ იყო გამოწვეული, რომ სხვა გასართობი არ გვაჩნდა ან კიდევ თავისუფალი დრო გვქონდა თავსაყრელი. სპორტი ღირსების საქმედ მიგვაჩნდა და ნებისმიერ ვარჯიშზე ან შეჯიბრებაზე ისე მივდიოდით, როგორც ზეიმზე, როგორც კაცად ნათლობის დღეზე. რა თქმა უნდა, ყველა სპორტსმენი ვერ გახდა, მაგრამ იმის გამო, რომ ვიცით მოედანზე დაღვრილი ოფლის, შეჯიბრების წინ უძილოდ გატარებული ღამის, გამარჯვების ფასი, ერთი სიტყვით, ვიცით სპორტის ხიბლი და ანდამატი, ნამდვილ და ყველაზე სტაბილურ გულშემატკივრებად მაინც დავრჩით.

მე პირველი საშუალო სკოლის გუნდში ფეხბურთს ვთამაშობდი. მერე ქალაქის გუნდში მოვხვდი. დღესაც თვალწინ მიდგას ბიჭებით დახუნძლული ტრამვაის ვაგონი, ახლანდელი სტუდქალაქიდან „ლოკომოტივის" სტადიონამდე რომ დაგვახრიგინებდა.

ფეხბურთი გამორჩევით გვიყვარდა. „საკუთარი" ძირითადი სახეობის გარდა, ფეხბურთს თითქმის ყველა თამაშობდა. ეს სიყვარული დღემდე მომყვება. ძალიან ახლოს ვიყავი სამოციანი წლების „დინამოსთან". შოთა იამანიძის მეგობრობას ახლა ბევრი იჩემებს, მაგრამ ჩვენ მართლა ძალიან ახლობლები ვიყავით, მერე ერთადაც ვმუშაობდით. მართალია, ის ცოტათი უმცროსი იყო ჩემზე, მაგრამ იმთავითვე შევეჩვიეთ — თავისი ყველა მონაცემით შოთა ჭაბუკობაშიც ზრდადასრულებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სპორტსმენებთან სიახლოვემ მათთვის ბაზების აშენების სურვილი გამიჩინა. ამ სურვილის საფუძველი და სტიმულატორი, რაღა თქმა უნდა, ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობა იყო.

იმ ადგილას, სადაც ახლა კიროვის პარკის კორტებია, ჩვენი სახელოვანი ლადო ალექსი-მესხიშვილი და მე კვირაობით ჩოგბურთს ვთამაშობდით. ამ თამაშის დროს შეიქმნა კორტების მოწყობის იდეა, რომელსაც მალე ხორციც შევასხით. ამას იქვე, ახლოს, კალათბურთის დარბაზის აშენების სურვილი დაემატა...

● თქვენ ფრენბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ბრძანდებით. რა ხდება ქართული ფრენბურთის სამყაროში?

— ოთხი წელია ფედერაციას ვხელმძღვანელობ. ამ ხნის მანძილზე ორი კარგი საქმე გავაკეთეთ: პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ვაჟა კაჭარავას სახით ქართულ ფრენბურთს ლიდერი დავუბრუნეთ — ფრენბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ის თითქმის ოც წელიწადს მოსკოვში ცხოვრობდა. მისი მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, იოლი არ იყო, მაგრამ ეროვნული ფრენბურთის კვლავ აღორძინების სურვილმა ესეც გააკეთებინა. მართალი გითხრათ, დიდი უსამართლობა იყო — ქართულ ფრენბურთს უჭირდა და ამ სახეობაში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად და მწვრთნელად აღიარებული ვაჟა კაჭარავა კი საქართველოში არ იყო... (აქვე ბატონი ივანე ღიმილით ამატებს): ვაჟას თბილისში გადმოსვლა სულ ჩემი დამსახურებაა და ამითი ვტრაბახობ კიდეც...

როგორც იქნა, გადაიჭრა პრობლემა — სულ მალე თბილისში გვექნება დიდი საფრენბურთო ცენტრი. შედგენილია უნიკალური პროექტი ოთხდარბაზიანი სკოლისთვის, რომლის მშენებლობა პიონერულ ქალაქ „მზიურში" ახალი წლიდან დაიწყება. აქვე იქნება რამდენიმე ღია მოედანი.

ახლა რაც შეეხება თავად ფრენბურთს. მოგეხსენებათ, ვაჟა კაჭარავა ვაჟთა პირველ გუნდს „მშენებელს" ავარჯიშებს. თვითონ მწვრთნელი ძალზე თავშეკავებულია, როცა საქმე პროგნოზს ეხება, ამიტომ ჩემი მხრიდან რაიმეს თქმა, თუნდაც გუნდის უახლოეს მომავალზე, უხერხული იქნება. ისე კი, დარწმუნებული ვარ, რომ ფრენბურთის მოყვარულები სულ მალე გუნდის სასიკეთო ფერისცვალების მოწმენი გახდებიან.

დიდ გუნდთან ერთად ვაჟა კაჭარავა თორმეტი-თოთხმეტი წლის ბიჭების ექსპერიმენტულ ჯგუფთანაც მუშაობს. ჯგუფი შესანიშნავი მონაცემების ოცდახუთი ბავშვით არის დაკომპლექტებული და მწვრთნელი ვარაუდობს, რომ მათგან რამდენიმე ოთხ-ხუთ წელიწადში დიდ გუნდში ითამაშებს. მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ჩვენი ფრენბურთელები გაცილებით უკეთ გამოვიდნენ, ვიდრე მათი თანატოლი კალათბურთელები და ხელბურთელები (გოგონებმა მეათე ადგილი დაიკავეს, ბიჭებმა — მეექვსე), მაგრამ საერთო შედეგით მაინც უკმაყოფილო ვართ. ფრენბურთი სპორტის ის სახეობაა, ზედგამოჭრილივით რომ ერგება ქართველი კაცის ბუნებას და ხასიათს — კარგი ფიზიკური მონაცემები, სწრაფი აზროვნების უნარი, ყველაფრის გაღება გუნდის ინტერესებისთვის და ცოტა ეშმაკობაც... ძნელად რომ ამ კომპონენტების ერთობლიობაში ვინმესთან დავიჩაგროთ. საჭიროა მხოლოდ ყველა მწვრთნელის გონივრული მუშაობა და, დარწმუნებული ვარ, ქართულ ფრენბურთს კარგი მომავალი ექნება...

ერთი საგულისხმო და იმავდროულად სასიამოვნო ფაქტიც: თბილისში ტრადიციულად ძალზე ძლიერია ფრენბურთის მსაჯთა კომპანია — გვყავს ოთხი საერთაშორისო და ბევრი საკავშირო კატეგორიის მსაჯი. მაღალკვალიფიციურ არბიტრთა რაოდენობით თვით მოსკოვიც კი ჩამოგვრჩება. ჩვენს მსაჯებს იწვევენ თითქმის ყველა საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე.

● თქვენ უკვე თქვით, რომ ფეხბურთი განსაკუთრებით გიყვართ. გულშემატკივრობის საკმაო სტაჟიც გაქვთ. ხომ არაფერს გაიხსენებდით?

— 1982 წლის გაზაფხულზე სხვებთან ერთად თბილისის „დინამოს" ბელგიაში ვახლდი — თასის მფლობელთა თასზე ლიეჟის „სტანდარდს" ეთამაშებოდა. მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივედით სტადიონზე, რომელიც კეთილმოწყობით ბევრად ჩამორჩება ჩვენსას. ტრიბუნების ერთი მხარე უკავიათ ნამდვილ გულშემატკივრებს, ძირითადად ახალგაზრდებს, რომლებიც თურმე ყოველ თამაშზე ორი საათით ადრე მოდიან და მაშინვე იწყებენ ხმაშეწყობილ ყვირილს, სიმღერას, სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას. ტრიბუნას თავისი დირიჟორიც ჰყავს. ეს ორგანიზებული ხმაური აპოთეოზს აღწევს მატჩის დასაწყისში და ასე გრძელდება ბოლო წამამდე. გულშემატკივრები გამოწყობილი არიან წითელ, ყვითელ, ჭრელ, ბრჭყვიალა ტანისამოსში, იქნევენ გრძელ წითელ კაშნეებს, რომელიც იქვე, სტადიონის შესასვლელში იყიდება.

ამ ჭრელაჭრულა ტრიბუნის მოპირდაპირე მხარე მთლიანად ნაცრისფერია — პატარ-პატარა ლოჟებად არის დაყოფილი და შედარებით სოლიდური ხალხით ივსება.

ფეხბურთის მოყვარულებს, რა თქმა უნდა, ახსოვთ: პირველი მატჩი თბილისში წავაგეთ 0:1 და „სტანდარდს" შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი ჰქონდა. ბელგიელი გულშემატკივრები მატჩის დაწყებამდე ხელით გვანიშნებდნენ, 2:0-ს მოგიგებთო. იქაც ისევე წავაგეთ, როგორც თბილისში. გულგასიებულები გამოვდიოდით — იმის გარდა, რომ დავმარცხდით, მოსალოდნელი ნიშნის მოგება გუნებას გვიფუჭებდა. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, როცა მსგავსი არაფერი მომხდარა. ტემპერამენტიანი ბელგიელი მაყურებელი მხიარული ტოვებდა სტადიონს და ორი საათის წინ გაკეთებული ჟესტი აღარც ახსოვდა, პირიქით, მათ სახეებზე რაღაცნაირი თანაგრძნობაც კი შევნიშნეთ.

● მთავრდება წლევანდელი საფეხბურთო სეზონი. თბილისის „დინამო" — თქვენი და ყველა გულშემატკივრის ქომაგობის მთავარი ობიექტი — სატურნირო ცხრილის შუაში ამთავრებს თავის ერთ-ერთ უძნელეს მარათონს. რა გსურთ და რას ელით თქვენი საყვარელი გუნდისგან?

— მსურს ის, რაც თითოეულ დინამოელს, მათ მწვრთნელებს, ყველა ქართველს: ჩემპიონობა, ევროპის თასები...

გულშემატკივრები და ალბათ სპეციალისტებიც დამეთანხმებიან, რომ სეზონის ბოლოს ძალზე საგულისხმო სიტყვა თქვა მიხეილ მესხმა. თუ მან ასეთი რეჟიმით გააგრძელა ვარჯიში და თამაში, დარწმუნებული ვარ: მომავალი საფეხბურთო სეზონი მას „ეკუთვნის" თბილისის „დინამოშიც" და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც.

„დინამოს" აქვს იმისი უპირატესობა, რომ შეუძლია იყოს ძალზე ტექნიკური გუნდი, იმპროვიზაციაში დაჯაბნოს ნებისმიერი მეტოქე, მხოლოდ სისწრაფეში არ უნდა ჩამოვრჩეთ. თუ ეს პირობები შესრულდება — ეს კი მთლიანად ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელზეა დამოკიდებული — მაშინ დიდი გამარჯვებებიც აღარ გვექნება სანატრელი.

● ძნელია საკუთარ თავზე დაკვირვება, მაგრამ იქნებ მაინც იცით, როგორ იქცევით სტადიონზე, როგორ გამოხატავთ ემოციებს?

— როცა გოლი ჩვენს კარში გადის, რა თქმა უნდა, მწყინს და ხმას ვერ ვიღებ. ჩვენების მიერ გატანილი ყველა ბურთი ლოგიკური და კანონზომიერი მგონია და მაშინაც წყნარად ვზივარ. აი, ლამაზ გოლს კი გულგრილად ვერ ვუყურებ — ერთს მაინც წამოვხტები და შევყვირებ ხოლმე.

● ჩვენი სპორტის ავ-კარგი ყველაზე უკეთ საკავშირო სპარტაკიადებზე ჩანს. არის სახეობები, რომელშიც ტრადიციულად ყველაზე ძლიერები ვიყავით. მაგრამ ამის გვერდით არც ისე ცოტა სახეობაა, რომელშიც ვერა და ვერ გავიმართეთ წელში. როგორ გგონიათ, ასეთი შეფარდება ჯობს, თუ ის, რომ ყველაფერში საშუალონი ვიყოთ?

— არჩევანზე თუ მიდგა საქმე, რაღა თქმა უნდა, ყველაფერში ჩემპიონობა ჯობს, მაგრამ არა და არ არის უგულებელსაყოფი გენეტიკა, პრაქტიკით გამტკიცებული ის თეორია, რომ ერის ნიჭი სპორტის ყველა სახეობაში ერთნაირად არ ვლინდება. თუ ცოტათი მაინც დავწინაურდებით იმ სახეობაში, რომელშიც ყოველთვის ჩამოვრჩებოდით და ეს ჩვენს პრესტიჟულ სახეობებზე ყურადღების მოკლების ხარჯზე მოხდება, არავის სჭირდება ასეთი „დაწინაურება". ასე რომ, გვირჩევნია ისევ ფეხბურთში, ჭიდაობაში, კალათბურთში ვიყოთ ჩემპიონები, ვიდრე გაგვიჩნდეს სურვილი, რომ მაინცდამაინც ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ვაჯობოთ ყველას, ან უფრო ცუდი — საშუალონი ვიყოთ ყველაფერში.

● ბავშვთა სპორტს სამართლიანად მიიჩნევენ დიდი სპორტის საძირკვლად. და როცა დიდ სპორტში შედეგი იგვიანებს, ან სულაც არ ჩანს, ამბობენ, შევცდით, სახეობა შეგვეშალა, სხვა რომ ამოგვერჩია, უთუოდ ჩემპიონები ვიქნებოდითო...

— სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ჩაბმა უმეტესწილად მშობლების სურვილით და ინიციატივით ხდება. მშობლები ირჩევენ იმ სახეობას, რომლის ნიჭიც აქვს და რომელიც გარეგნულად გაალამაზებს მათ შვილს (არაფერს ვამბობ იშვიათ სამწუხარო შემთხვევებზე, როცა ბავშვს „იმეტებენ" იმ სახეობისთვის, რომელსაც არავინ ეკარება, იმ იმედით, იქნებ ჩემპიონობას [illegible] ხელი და ინსტიტუტშიც მოხვდესო).

ვიდრე ჩვენში სპორტი პრესტიჟული არ გახდება, ესე იგი, ბავშვების უმრავლესობას არ მოიცავს, მანამდე გაგვიჭირდება დიდ სპორტულ გამარჯვებებზე ლაპარაკი.

ერთხელ ვაჟა კაჭარავა და მე დავინტერესდით — შევედით რამდენიმე ცენტრალურ სკოლაში და გამოვკითხეთ მერვე-მეცხრეკლასელი ბავშვები. გამოირკვა, რომ კლასებში, სადაც ოცდაათი-ორმოცი მოსწავლეა, ერთი ან ორია სპორტსმენი. ისეთი კლასებიც ვნახეთ, სადაც ის ერთი სპორტსმენიც არ აღმოჩნდა... მეტი რომ არ ვთქვათ, საგანგაშო მდგომარეობაა.

ვიცი, გამიწყრებიან ჩვენი მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მაგრამ რამდენი შემთხვევა იყო — იმის გამო, რომ სპორტული ფორმა, უბრალო მაისური და ტრუსი ვერ უშოვეს, მშობლებმა ფრენბურთზე ვერ მოიყვანეს შვილი. ჩვენ კი სპორტის პრესტიჟულობაზე ვლაპარაკობთ. სპორტული ფორმისა და ინვენტარის წარმოება პირდაპირ კავშირშია მასთან.

რატომ არიან ესტონელები კარგი ჩოგბურთელები და კალათბურთელები? სხვა მიზეზებთან ერთად იმიტომაც, რომ იქ საუკეთესო ჩოგნებსა და სპორტულ ფეხსაცმელებს უშვებენ.

ჩვენში არ არის არც ერთი ფაბრიკა ან კომბინატი, ყველა სახის სპორტულ ტანსაცმელს და ინვენტარს რომ უშვებდეს. ვფიქრობ, უკვე მომწიფდა იდეა ისეთი კომბინატის შექმნისა, რომელსაც ეყოლება საკუთარი მხატვარი, მოდელიორი, დიზაინერი და, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, მაღალი ხარისხის სპორტულ ფორმებს შემოგვთავაზებს.

თუ გვინდა, რომ პირველები ვიყოთ, სპორტულ აღჭურვილობაშიც არავინ უნდა გვაჯობოს. ბუნებრივი მონაცემები სხვაზე უკეთესი გვაქვს, რელიეფი ხელს გვიწყობს და, თუ ის, ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი, მაგრამ აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხიც დადებითად გადაწყდება, სპორტი მიიზიდავს კიდევ ერთ იმდენ ბავშვს, რამდენიც დღეს არის ჩაბმული.

● ყველა სკოლა, რომელიც ამ ბოლო დროს აშენდა, „განებივრებულია" სპორტული დარბაზით და საცურაო აუზით. არც ერთ აუზში რომ წყალი არ არის, ეს ცალკე საუბრის თემაა. მაგრამ მე დარბაზებზე მინდა გკითხოთ: თითქმის ყველა სკოლის დირექტორი კმაყოფილია, ფიზკულტურის მასწავლებლები კი წყენას ვერ მალავენ...

— სკოლის დირექტორების უმრავლესობამ ნაკლებად იცის ფიზკულტურის გაკვეთილისა და თვით სპორტული დარბაზის სპეციფიკურობა. სკოლას დარბაზი აქვს. ესე იგი, გაკვეთილი ჩატარდება. მორჩა და გათავდა. დირექტორისთვის ეს არის მთავარი. მაგრამ ახლა ფიზკულტურის მასწავლებელს ჰკითხეთ! დარბაზის სიგრძე უნდა იყოს 32, სიგანე 18 და სიმაღლე 8,5 მეტრი მაინც. ჩვენი ტიპიური დარბაზები კი ისეთი პატარაა (18X12), რომ თითქმის არაფრისთვის გამოდგება. ააშენებ და რამდენიმე წელიწადში დასანგრევია. რა გამოდის? ვერც ბავშვებმა ისარგებლეს და ჩვენც დავზარალდით.

საერთოდ კი, იმისთვის, რომ ლოზუნგი ლოზუნგად არ დარჩეს და თბილისი მართლა გადავაქციოთ სანიმუშო ფიზკულტურულ ქალაქად, საჭიროა გვქონდეს ბევრი ღია სპორტული მოედანი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება თითოეული თბილისელისთვის, გამოვუშვათ ყველა სახის მაღალხარისხოვანი სპორტული ფორმა, დავძლიოთ აქამდე შემორჩენილი უხერხულობის გრძნობა თუ სიზარმაცე და უფრო ხალისიანად მივაშუროთ პარკებს, მოედნებს, სტადიონებს, კორტებს...

ინტერვიუ აიღო
ნანა ჯოხარიძემ.

კრივი

მოლოდინი გაამართლა

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐᲨᲘ გაიმართა საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხაზარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი კრივში.

ასპარეზობაში მონაწილეობდა 11 ქალაქის 65 სპორტსმენი. ჩვენი რესპუბლიკიდან შეჯიბრებაში ჩაებნენ ნაკრების II და III ნომრები. ლიდერებმა თავი აარიდეს ბრძოლას. აქ მთავარი იყო ნაკრების მწვრთნელებს ენახათ, ვინ როგორ იყო ამ ეტაპისთვის მომზადებული, შეიძლებოდა თუ არა მომავალში მათზე დაყრდნობა და ა. შ. ჩვენი გუნდი ხომ ახლა ძირითადად ხალხთა მომავალი სპარტაკიადისთვის ემზადება. როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსმა მწვრთნელმა ზაუგ გაჭავაძემ გვითხრა, შეჯიბრებამ გაამართლა მოლოდინი. კარგი მოკრივეები ჰყავდა კრასნოდარის კოლექტივს.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვაზგენ უზლიანმა, ლევან ბაღდასარიანმა (ორივე — „განთიადი", სოხუმი), ალექსანდრე ხუნაბიძემ („ტრუდი", კრასნოდარი), მამია სუთიძემ („ლოკომოტივი", ქუთაისი), ალექსანდრე ანტონიანმა („კოლმეურნე", ახალქალაქი), ალექსანდრე კოლომიცევმა („ტრუდი", კრასნოდარი), შველუდ სარხუშოვმა („კოლმეურნე", ქუთაისი), სერგეი გიგოლაევმა („განთიადი", სოხუმი), ვლადიმერ ცარუკიანმა („შრომითი რეზერვები", თბილისი), ალექსანდრე შჩუპლეცოვმა („ტრუდი", კრასნოდარი), დავით არუთუნოვმა („კოლმეურნე", თბილისი).

I ლიგის ახალი ბინადარი

დამთავრდა II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ზონალურ გათამაშებებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირები მომავალ წელს I ლიგის ახალ ბინადართა გამოსავლენად.

როგორც ვიუწყებოდით I ლიგაში თამაშის უფლება ადრევე გაინაღდეს **კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა" და სტავროპოლის „დინამომ"**.

გამოვლინდა მესამე გუნდიც, რომელიც გაისად ადგილს დაიკავებს I ლიგაში. ესაა IX ზონის წარმომადგენელი **აბოვიანის „კოტაიკი"**. ამ გუნდის შეხვედრა ტიუმენის „გეოლოგთან" დამთავრდა ფრედ — 2:2. „გეოლოგის" ხელმძღვანელობამ გააპროტესტა მატჩის შედეგი, მაგრამ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ პროტესტი უსაფუძვლოდ მიიჩნია, შედეგი დაამტკიცა და „კოტაიკმა" II ფინალურ ჯგუფში 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

საქართველოს პირველობა

უახლოეს დღეებში თბილისის სტადიონებზე გაიმართება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის 2 კალენდარული მატჩი I ჯგუფის დასავლეთის ზონის გუნდებს შორის.

15 ნოემბერს გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან **გეგეჭკორის „ხალხინო" და წულუკიძის „იმერეთი"**. მატჩი დაიწყება 14 საათზე.

18 ნოემბერს ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე შედგება დამატებითი მატჩი, რომელმაც უნდა გამოავლინოს დასავლეთ ზონის გამარჯვებული. 14 საათზე ერთმანეთს შეხვდებიან **„ხულორი" (ვანი) — „შადრევანი" (წყალტუბო)**.

საერთაშორისო ფეხბურთი:

შედეგები, ცხრილები

გფრ

ეროვნული პირველობის XII ტურში, რომელიც შაბათს, 10 ნოემბერს გაიმართა, ცენტრალური მატჩი მიონჰენგლადბახის „ბორუსიისა" და მიუნხენის „ბაიერნის" შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორთაბრძოლა არ შედგა. საქმე ისაა, რომ ცუდი ამინდის გამო „ბორუსიის" ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს დროულად დაბრუნებულიყვნენ პოლონეთიდან, სადაც ოთხშაბათს უეფა-ს თასის გათამაშების მატჩი ჰქონდათ ლოძის „ვიძევთან". მაშინ სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა მზერა მიმართეს ჰამბურგისკენ, სადაც „ჰამბურგერ შპორტფერაინი" „კიოლნს" ხვდებოდა. ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გახსნეს უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის" მომავალმა მეტოქეებმა — კიოლნელებმა. ამის შემდეგ უპირატესობა ხელთ იგდო „ჰამბურგმა" და სამჯერ აიღო მეტოქის კარი. ჯერ ვემაიერმა აღადგინა წონასწორობა (37-ე წუთზე), შემდეგ კი ვუტკემ 2 გოლი გაიტანა (47,66) — 3:1. უაღრესად საინტერესო „სცენარით" წარიმართა მატჩი გელზენკირხენის „პარკშტადიონზე", სადაც ადგილობრივი „შალკე 04" ქვეყნის ჩემპიონს, „შტუტგარტს" ხვდებოდა. პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო — მათ 4 „მშრალი" ბურთი შეაგდეს მეტოქის კარში. „შალკე" შესვენების შემდეგაც მძაფრად უტევდა, მაგრამ ანგარიშის გაზრდა აღარ მოხერხდა. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე მასპინძლებმა, ეტყობა, საქმე დამთავრებულად ჩათვალეს და ყურადღება მოადუნეს. ამით ისარგებლა „შტუტგარტმა": 75-ე წუთზე ალგიოვერმა ერთი ბურთი გაქვითა, ხუთი წუთის შემდეგ მაურერმა მეორე გოლი გაიტანა იუნგჰანსის კარში, 87-ე წუთზე კი ბელგიელმა კლასენმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა — 3:4. როცა მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა, 25 ათასმა მაყურებელმა შვებით ამოისუნთქა: როგორც მიმომხილველებმა აღნიშნეს „მატჩი ცოტა ხანს კიდევ რომ გაგრძელებულიყო, „შტუტგარტი" უთუოდ გაათანაბრებდა ანგარიშს". მაინის ფრანკფურტის „აინტრახტმა" შინ დიდი ანგარიშით (7:2) დაამარცხა მანჰაიმის „ვალდჰოფი". გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს კრემერმა (3), მიულერმა და გროტმა (2-2), „კარლსრუემ" შინ აჯობა ბილეფელდის „არმინიას" — 4:0. ერთნაირი ანგარიშით (1:0) „კაიზერსლაუტერნმა" მოუგო ბრაუნშვაიგის „აინტრახტს", ხოლო „ბოხუმმა" — იურდინგენის „ბაიერს". ფრედ (0:0) დამთავრდა ორი მატჩი: „ფორტუნა" (დიუსელდორფი) — „ბორუსია" (დორტმუნდი) „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „ვერდერი" (ბრემენი).

ბომბარდირთა სიას 12 გოლით სათავეში უდგას კიოლნელი კლაუს ალოფსი, რაც უთუოდ უნდა გაითვალისწინონ სპარტაკელებმა. 9-9 გოლი გაიტანა ოთხმა ფეხბურთელმა. ესენი არიან კლაუს ფიშერი („ბოხუმი"), კლაუს ტოიბერი („შალკე 04") და თომას ალოფსი („კაიზერსლაუტერნი").

	თ.	ბ.	ქ.
„ბაიერნი"	11	25:11	18
„კაიზერსლაუტერნი"	12	20:15	15
„ვერდერი"	12	28:21	14

„კიოლნი" 11 მატჩში 12 ქულით VII ადგილზეა.

ინგლისი

ჩემპიონატის მორიგ, XIV ტურში ლივერპულის „ევერტონმა" კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. ლონდონში, „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" გამართულ დაძაბულ შეხვედრაში მან თამაშის მიწურულს მაინც შეძლო წარმატების მოპოვება: 78-ე წუთზე ჰითმა გამარჯვების გოლი გაიტანა — 1:0. კვლავ წაიფორხილა ყოფილმა ლიდერმა, ლონდონის „არსენალმა", რომელმაც ვერ შეძლო საკუთარ მინდორზე დაემარცხებინა ბირმინგემის „ასტონ ვილა" (მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1). ის კი არა, ლონდონელები მარცხს გადაარჩინა მარინერმა, რომელმაც გოლით აღნიშნა ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნება. „მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრად შეხვდა „ლესტერ სიტის". ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა მანჩესტერელმა ბრეზილმა, მაგრამ 10 წუთის შემდეგ ბენქსმა წონასწორობა აღადგინა. მეორე ტაიმში ჰიუზმა კვლავ დააწინაურა სტუმრები (59), მაგრამ „ლესტერმა" ეს გოლიც გაქვითა (ლიმეკერი, 83). მატჩის დამთავრებას 2 წუთიღა აკლდა, როცა მასპინძელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით შეაჩერა მის კარში მიმავალი ბურთი, რისთვისაც პენალტით დაისაჯა. 11-მეტრიანი კარგად გამოიყენა სთრაქანმა — 3:2. ამ გამარჯვების წყალობით „მანჩესტერმა" II ადგილზე გადაინაცვლა. „ნოტინგემ ფორესტი" შინ დამარცხდა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" — 1:2. სტუმართაგან თავი გამოიჩინეს ჰეზარდმა და გელვინმა. „ლივერპული" შინ უგებდა „საუთჰემპტონს" (ბურთი რამშა შეაგდო), მაგრამ ვეტერანმა ფეხბურთელმა, შოტლანდიელმა ჯო ჯორდანმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1. „ნიუკასლ იუნაიტედის" მოთამაშეების მაკდონალდისა და უოდლის ორ გოლს ლონდონის „ჩელსის" წევრმა კერი დიქსონმა ერთით უპასუხა; სხვათა შორის, ეს დიქსონის მე-14 გოლია მიმდინარე სეზონში. საკუთარ მინდორზე პირველი გამარჯვება იზეიმა „უოტფორდმა", რომელმაც „სანდერლენდი" დაამარცხა — 3:1. „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა" მოუგო „სტოკ სიტის" (2:0), „ნორიჩ სიტიმ" — „ლუტონ თაუნს" (3:0), „კოვენტრი სიტიმ" — „იფსვიჩ თაუნს" (1:0). „ქუინზ პარკ რეინჯერსისა" (ლონდონი) და „შეფილდ უენსდეის" მატჩში გოლი არ გასულა.

„ევერტონი"	14	28:19	29
„მანჩეს. იუნ."	14	27:18	26
„არსენალი"	14	29:21	26

შოტლანდია

გათამაშების XIII ტურში, რომელიც 10 ნოემბერს გაიმართა, „აბერდინმა" შინ სძლია „მორტონს" — 3:1, თუმცა თავიდან ეს უკანასკნელი დაწინაურდა. გლაზგოს „სელტიკმა" მოუგო „დამბარტონს" — 2:0. ამავე ანგარიშით „დანდიმ" წააგო თანაქალაქელთა გუნდთან — „დანდი იუნაიტედთან". „სენტ-მირენმა" საკუთარ მინდორზე დათმო შეხვედრა ედინბურგის „ჰართ ოვ მიდლოთიენთან" — 2:3. „ჰიბერნიენმა" (ედინბურგი) და „გლაზგო რეინჯერსმა" ქულები გაინაწილეს — 2:2. გაიმართა აგრეთვე XII ტურში გამოტოვებული მატჩი „ჰიბერნიენსა" და „აბერდინს" შორის. თამაში მოიგეს სტუმრებმა — 3:0.

„აბერდინი"	13	33:7	23
„სელტიკი"	13	24:9	20
„გლაზგო რეინ."	13	13:4	18

გდრ

ეროვნული ჩემპიონატის X ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — დრეზდენისა და ბერლინის დინამოელები. დაძაბული მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. ამავე ანგარიშით დაასრულეს თავიანთი შეხვედრა „მაგდებურგმა" და აუეს „ვისმუტმა". ლაიფციგის „ლოკომოტივმა" მოუგო ოდერის ფრანკფურტის „ფორვერტსს" — 2:1. იენის „კარლ ცაისმა" წარმატებით ითამაშა სტუმრად უმაღლესი ლიგის დებიუტანტთან, ბრანდენბურგის „შტალთან". იენელებმა მოიგეს ანგარიშით 4:0.

„დინამო" (დრეზ.)	10	33:7	17
„დინამო" (ბერ.)	9	29:11	15
„ლოკომოტივი"	10	27:11	15

ჯიმი ჰარტვიგი:

„ყველა დღე ხომ მზიანი არ არის"

ფეხბურთი თავისი ბუნებით დემოკრატიული და ინტერნაციონალურია. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი არა მარტო ფეხბურთელების, არამედ მილიონობით სხვადასხვა ეროვნების გულშემატკივრის კონტაქტისა და ურთიერთგაგების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. უკიდურესი ექსტრემიზმი, რომელიც აქა-იქ იფეთქებს ხოლმე სტიქიურად, უცხო და მიუღებელია ფეხბურთისთვის, ამ მშვიდობიანი და მზიური თამაშისთვის, რომელიც ამდენ სიხარულს გვანიჭებს. დღეს მთელ მსოფლიოში ახალი საფეხბურთო ბუმია გაჩაღებული. ფეხბურთი ძლევამოსილად დააბიჯებს ტროპიკებშიც და კონტინენტური ჰავის ქვეყნებშიც. მას უყურებენ ულატაკესნი და „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" — ფეხბურთის წინაშე ყველა თანასწორია.

ფეხბურთმა ჩვენც ბევრი უცხოური გუნდი და მოთამაშე გაგვაცნო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამო" ევროპულ ტურნირებში ჩაება. გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ ჩვენი გუნდის ორრაუნდიანი ბრძოლა დასავლეთ გერმანიისა და, საერთოდ, ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წარმომადგენელთან „ჰამბურგთან". წაგების მიუხედავად, ჩვენ უკმარობის გრძნობა არ დაგვრჩენია: თანაბარ ბრძოლაში დავმარცხდით ღირსეულ მეტოქესთან. იმ მატჩების პერიპეტიების გახსენებას ამჯერად არ ვაპირებთ, მაგრამ გვინდა წარმოგიდგინოთ იმდროინდელი „ჰამბურგის" ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი ჯიმი ჰარტვიგი. ამ ფეხბურთელის თავგადასავალი ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის მუქი კანის სპორტსმენის ბედზე „თეთრ" ქვეყანაში.

1. გსიამოვნებდათ თუ არა სკოლაში სიარული?

— არა, ჩემი მასწავლებელი წარამარა იბარებდა დედაჩემს და ეუბნებოდა: შენი ბიჭი ნიჭიერი და ინტელიგენტური კია, მაგრამ ძალიან ზარმაციაო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მე გამოვიცვალე; ახლა ისეთი ზარმაცი აღარა ვარ, მაგრამ არც მაღალინტელიგენტური გახლავართ, როგორიც თავის დროზე მასწავლებლებს ვეგონე.

2. ნანობთ თუ არა, რომ „ჰამბურგიდან" „კიოლნში" გადაგიყვანეს?

—რა თქმა უნდა, ვნანობ. თუმცა მამშვიდებს, ის აზრი, რომ ჩემს მაგივრად „ჰამბურგში" მისული შოტლანდიელი სტრაჩანი ჩინებული ფეხბურთელი და შესანიშნავი ადამიანია. იგი კარგ სამსახურს გაუწევს „ჰამბურგს". მე მას ვიცნობ „აბერდინიდან" ისე კი „ჰამბურგიდან" „კიოლნში" ჩემი გადასვლის ამბავი მე თვითონ გაზეთებიდან შევიტყვე.

3. საიდანაა წარმოშობით თქვენი ოჯახი?

— მამაჩემი იყო ამერიკული არმიის ჯარისკაცი დასავლეთ გერმანიაში, დედა — გერმანელი. პატარა ვიყავი, როცა მამაჩემი მოულოდნელად სადღაც გაქრა. მას შემდეგ ვეძებთ, მაგრამ ვერ გვიპოვია.

4 თქვენთვის „კიოლნში" ჯობს თამაში თუ „ჰამბურგში"?

— გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შემიძლია. „ჰამბურგში" ბოლო ექვსი წლის მანძილზე ბევრი კარგი მატჩიც მახსოვს და ცუდიც. სწორედ ისეა, როგორც ცხოვრებაში: ყველა დღე ხომ მზიანი არ არის. რაც შეხება „კიოლნში" ჩემს თამაშს, ამაზე ერთი წლის შემდეგ მკითხეთ.

5. ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მეკარედ დასავლეთ გერმანიაში?

— რა თქმა უნდა, ტონი შუმახერი; მეორე ადგილზეა ჰამბურგელი უდიო შტაინი.

6. რომელ ქვეყანაში გაემგზავრებოდით, თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული?

— მე ერთი რომელიმე საყვარელი ქვეყანა არ მეგულება... მე მთელი მსოფლიო მიყვარს.

7. რატომ გეძახიან ჯიმის, აკი სინამდვილეში ვილიამი ხართ?

— სიჭაბუკეში მიყვარდა ვისკი „ჯიმ-ბომი". აი, აქედან წარმოდგება ჩემი მეტსახელი.

8. რა აზრისა ხართ ქალთა ფეხბურთზე?

— ჩემი აზრით, მაყურებელთა უმრავლესობა ქალთა გუნდების მატჩებზე მხოლოდ გასართობად და სეირის საყურებლად დადის.

9. ეწევით სიგარეტს?

— არა. არასოდეს მომიწევია.

10. ქაოსი ხომ არ იქნება „კიოლნში", სადაც თავი მოიყარეთ ორმა დიდმა ხუმარამ — შუმახერმა და თქვენ?

— არავითარი ქაოსი. მე მგონია, ხუმრობაშიც გამოვნახავ ტონისთან საერთო ენას, მაგრამ ჩვენთვის, ორივესთვის, ყველაზე სასიამოვნო იქნებოდა კარგი ფეხბურთის თამაში.

11. რომელი სპორტი გიზიდავთ ფეხბურთის გარდა?

— ჩოგბურთი, გოლფი — ოღონდ ნუ იფიქრებთ, თითქოს სნობი ვიყო.

12. თქვენი საუკეთესო თამაში „ჰამბურგის" შემადგენლობაში?

— ევროპული ტურნირის მატჩი თბილისში, სადაც ძალიან უყვართ და კარგად ესმით ფეხბურთი, აგრეთვე შეხვედრა სან-სებასტიანში. ეს იყო ორი ბრწყინვალე თამაში ჩემთვისაც და „ჰამბურგისთვისაც".

13. როგორ მოგწონთ ნიუ-იორკი?

— ნიუ-იორკი კარგი ქალაქია, მაგრამ ეს არ არის ნამდვილი ამერიკა. ეს არის ქალაქი, სადაც კეთდება ბიზნესი, ფული... და მაინც, ნიუ-იორკი განსაცვიფრებლად დიდი ქალაქია, ისეთი დიდი, რომ ძნელია მისი აღქმა.

14. გქონიათ თუ არა პრობლემები თქვენი კანის ფერთან დაკავშირებით?

— ასეთი პრობლემები ყოველდღე მაქვს. ისინი სრულიად სხვადასხვა ფორმით წარმომიდგება. მაგალითად, მიუნჰენში თეთრკანიანი ხულიგნების ჯგუფი მიყვიროდა: „ჯიმი — შავი ღორი!" მაგრამ ასეთი გამოხდომების წინააღმდეგ ჩემი მეთოდი მაქვს: მყვირალა რასისტების წინ ვდგები და... ვიწყებ დირიჟორობას, ამას ისინი არ მოელიან.

15. რა არის სამი რამ, რასაც თქვენთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში?

— ოჯახი, მეგობრები, კარგი ექიმი, — როცა ავად ვარ.

16. რას შვრებით, როცა უცნობნები გესალმებიან ქუჩაში?

— მე მათ დაუყოვნებლივ ვპასუხობ სალმით და, თუ დრო მაქვს, ვემუსაიფები კიდეც.

17. რა არის თქვენი აზრით სიყვარული?

— ეს არ არის წამიერი გატაცება. ეს არის უდიდესი და უღრმესი გრძნობა. ორი დღეც რომ ვერ ვნახო ცოლი, ვწუხვარ ხოლმე, აი, ასე მესმის მე სიყვარული.

• • •

1983 წლის გაზაფხულზე კიევის „დინამომ" ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩში „ჰამბურგერ შპორტფერაინს" უმასპინძლა. ეს შეხვედრა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა. ფოტოზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, სწორედ ამ მატჩის მომენტია აღბეჭდილი. ბურთისათვის იბრძვიან ჯიმი ჰარტვიგი და ვადიმ ევტუშენკო.

რედაქტორი ა. ბოგელია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
[illegible] ხაზი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
ხამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 15072